





რადიარდ კიპლინგი

ვიმი

ღია  
ბერძნების  
მუზეუმი

რადიარდ კიპლინგი  
პიმი

Rudyard Kipling  
KIM

მთარგმნელები ზაზა ჭილაძე, გია ჭუმბურიძე

რედაქტორი ლალი ჭინჭარაული  
სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია  
დიზაინერი ნინო გურული


© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013  
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2298-0210  
ISBN 978-9941-11-430-4

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

კიბი







## თავი 1

ვინაც მოლოქის გზას დავდგომივართ,

დავფიქრდეთ ყველა –

ურჯულონიც ხომ მუხლს უყრიან

ბუდას ქანდაქს კამაკურაში!

ბუდა კამაკურაში

ქალაქის საკრებულოს შემოლებული უმკაცრესი აკრძალვის მიუხედავად, ის მაინც აგურის სადგარზე დაყუდებული ზამზამაპის დიდი ქვემეხის ლულაზე გადამჯდარიყო, ზუსტად ძველი აჯაიბ-გჰერის – ანუ საოცრებათა სახლის ბირდაბირ – როგორადაც აქაურები ლაპორის მუზეუმს იხსენიებდნენ. ვინაც ზამ-ზამაპი – ამ „ცეცხლისმფრქვეველ გველვეშაპს“ დაეპატრონებოდა, სრულიად პანჯაბიც მისი იყო, რაკილა ეს მომწვანო-ბრინჯაოსფერი გროვა ყველა დამპყრობლისათვის უპირველესი საალაფო განძი გახლდათ.

ოღონდ ჩვენში დარჩეს და, კიმსაც ეპატიებოდა: ის-ის იყო იქიდან ლალა დინანათპის ბიჭი ჩამოეგდო – პანჯაბს ხომ ახლა ინგლისელები განაგებდნენ და აკი კიმიც ნაღდ ინგლი-

სელობაზე დებდა თავს! არადა, იქაურივით შავტუხა ბაზრის ბიჭბუჭობაში არც გამოირჩეოდა, მეტნილად ადგილობრივ კილოკავზე უქცევდა და დედაენაზე საუბრისას ცოტათი მოიკოჭლებდა კიდეც, თუმცა თეთრი იყო – ღატაკი თეთრკანიანი, უძატაკესი დატაკთა შერის.

ნარევი სისხლის დედაკაცმა, ვისაც შეეკედლებინა სამადლოდ (ქალი ოპიუმს ეტანებოდა და ნახმარი ავეჯის დუქანიც გაემართა მოედნის შორიახლო, ზედ მონჯლრეული ეტლების სადგომთან), მისიონერებს უთხრა, მამიდად ვერგებიო; არადა, დედამისი გადია ყოფილა მაგანი პოლკოვნიკის ოჯახში, და მერე ცოლად გაჰყოლია კომბოლ ო'ჰარას – ირლანდიელი ფეხსახების ლეგიონის ახალგაზრდა მედროშეს. მერე კაცმა სამსახური იშოვა სინდი-პანჯაბი-დელის რკინიგზის ხაზზე და მისი ლეგიონიც უიმისოდ დაპრუნდა შინ. ცოლი რომ ქოლერით მოუკედა ფეროზპორში, ო'ჰარაც სასმელს მიეძალა და აღმა-დაღმა დაყვებოდა ხოლმე მატარებელს ამ თავის თვალხატულა, სამი წლის ბიჭთან ერთად. ბავშვებზე დიდად მზრუნველი საქველმოქმედო საზოგადოებები თუ ზნეობის ათასი ჯურის თავგადაკლული მოქადაგე, ამაოდ ცდილობდნენ, შვილი ჩამოერთმიათ მისთვის – ო'ჰარა მუდამ ახერხებდა მათი ხლართებიდან თავის დალწევას, მერე კი სწორედ ის ოპიუმის მოყვარული ქალი გაიცნო, იმისგანვე გადაიღო ეს მავნე ჩვევა და მალე ისევე აღესრულა ინდოეთის უცხო მიწაზე, როგორც მანამდე არაერთი სხვა უპოვარი თეთრკანიანი. მემკვიდრეობად მისგან სამად სამი ქაღალდი დარჩა – ერთს თავის ne varietur-ს ეძახდა, რაკილა სწორედ ეს სიტყვები მოსდევდა მის ხელრთვას; მეორეს – „ჯართან განქორწინების საბუთს“; მესამე კი კიმის დაბადების მოწმობა გახლდათ. ოპიუმის წყალობით მიღმიერ სამყაროში გადასულს, უყვარდა

ხოლმე გამეორება – ეს ქაღალდები ჩემს პატარა კიმბოლს კაცად აქცევსო. კიმი არამც და არამც არ უნდა შელეოდა ამ საბუთებს, რადგან ისინიც იმ დიდი ჯადოქრობისთვის იყო აუცილებელი, რასაც საქმიანი კაცები მიმართავენ ხოლმე მუზეუმს უკან მდებარე, ლურჯ-თეთრ ჯადუ-გჰერის შენობაში, ანუ ჯადო-მჩხიბაობის სახლში, როგორაც აქაურები უწოდებენ მასონურ ლოუას. ერთ მშვენიერ დღესო, ამბობდა ო'პარა, ყველაფერი დალაგდება და კიმის საყვირიც ყურის წამლებად ახმიანდება მშვენიერებისა და სიძლიერის თვალშეუწვდენელ სვეტებს შორის... ძლევამოსილი ლეგიონის თავში ამხედრებული პოლკოვნიკიც თვითონვე იპოვის კიმს, პატარა კიმს, და ისეთ ბედსაც სწევს, მამამისს რომ არც კი დასიზმრებიაო. ჯოჯოხეთის 900 რჩეული ეშმაკიც, ღმერთად მწვანე მინდორზე მობალახე წითელი ხარი რომ შეურაცხავთ, კიმს ეახლება, თუკი ცხადია, ბებერი ო'პარა არ დავიწყნიათ – საბრალო ო'პარა, ჰეროსპორის რეინიგზაზე რომ იწყვეტდა ჭაპანს უაზრო მუშაკობით... და მნარედ ატირდებოდა ხოლმე აივანზე, იმ თავის მონჯლრეულ სარწეველა სავარძელში მჯდომი. მერე კი, როცა სული უფალს მიაბარა, ქალმა ეს სამივე საბუთი ტყავის პანია ტომისიკაში გამოკერა და ავგაროზად ჩამოკიდა კიმს კისერზე.

– ერთ მშვენიერ დღეს, – უთხრა ბიჭს, თუმცა კი ო'პარას წინასწარმეტყველება არცოუ მთლად ზუსტად ახსოვდა, – მწვანე მინდორზე დიდი წითელი ხარი მოგადგება და კიდე – მაღალ ცხენზე შემომჯდარი პოლკოვნიკი... – მერე რატომ-დაც ისევ ინგლისურზე გადავიდა და დაამატა:

– და მათთან ერთად კიდევ 900 ეშმაკიც!  
– ჰო-ო... – მიუგო კიმმა, – დავიმახსოვრებ. წითელი ხარი და დიდ ცხენზე ამხედრებული პოლკოვნიკი უნდა მოვიდნენ;

მაგრამ იქამდეო – ასე ამბობდა მამაჩემი, მაგ ყველაფრამდე, ჯერ კიდევ ვიღაც ორი სხვა კაციც უნდა გამოჩნდეს. სულ ეგრე ხდებაო, ამბობდა მამაჩემი. სხვანაირად ეგ ჯადო-საქმე არ გამოდისო.

ქალს რომ კიმი იმ ქალალდებიანად ადგილობრივ ჯადუ-გჰერში მიეყვანა, ცხადია, ბიჭზე მზრუნველობას იქაური ლო-ჟა იკისრებდა და მთებში მდებარე, მასონების გახსნილ ობ-ლების თავშესაფარშიც უკრავდა თავს, მაგრამ ქალი მათ არ ენდობოდა და კიმსაც მეტად თავისებურად ესახებოდა საკუ-თარი მომავალი. ყველაფრისადმი იჭვნეულობის ასაკს რომ უნია, უკვე იცოდა, როგორ დაძვრენოდა ხელიდან მისიონე-რებსა თუ იმ გოროზ თეთრკანიანებს, ვინც თავს გააპეზრებ-დნენ შეკითხვებით – ვინა ხარ, სადაური და რას საქმიანობო? არადა კიმი მშენივრად ახერხებდა იმას, რომ არც არაფერს საქმიანობდა. მართალია, ხუთი თითოვით იცნობდა მაღალ-კედლება ლაპორ-ქალაქს, დელის კარიბჭიდან – განაპირა ცი-ხე-კოშკამდე, დიდი დოსტი გახლდათ ყველა იმათი, ვინაც ჰე-რუნ-ალ-რაშიდის ნაოცნებარზე კიდევ უფრო უცნაური ცხოვ-რებით ცხოვრობდა და თავადაც ათას ერთი ლამის სამყაროს ბინადარს ჰგავდა, მაგრამ მთელი ეს მისიონერები და საქველ-მოქმედო საზოგადოებების გაწევილი მდივნები, აბა, ამნაირი ცხოვრების გემოს რას გაიგებდნენ! სხვათა შორის, ის დოს-ტები მეტსახელითაც იცნობდნენ და „ქვეყნის ძმაბიჭს“ ეძახ-დნენ. რაკიდა დიდი მაკვარანცხობით გამოირჩეოდა, ხშირად, ღამ-ღამობით რაღაც წვრილ-წვრილ დავალებებს უსრულებ-და დარდიმანდ ყმანვილკაცებს – სახლების ხალხმრავალ ერ-დოებზე სულ იოლად პოულობდა მათ, ვისთვისაც სამიჯნურო ბარათები უნდა გადაეცა მალულად. სახიფათო თამაში იყო – ეს თავადაც ესმოდა, რაკი იმთავითვე ზიარებოდა ამქვეყნიურ